



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

# ინფორმაცია თვის მიმოხილვა

---

2025

ინფლაცია .....	3
საბანკო სექტორი .....	5
საბარეო სექტორი .....	7
სავალუტო ბაზარი.....	11
ფულადი ბაზარი.....	14
მონეტარული აგრეგატები.....	15


“თვის მიმოხილვა“  
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის  
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

# ინფლაცია


ინფლაცია სამიზნე 3 პროცენტთან მარჯვენებელზე ქვემოთ ნარჩუნდება. დეკემბერში წლიურმა ინფლაციამ 1.9% შეადგინა, ხოლო ნოემბერთან შედარებით ფასები 0.7%-ით გაიზარდა. ინფლაციის დაბალ დონეს, ერთი მხრივ, იმპორტირებული პროდუქტების დეფლაცია განაპირობებს. ამავდროულად, ადგილობრივად წარმოებული საქონლისა და მომსახურების ინფლაცია კვლავ მიზნობრივ მარჯვენებელზე დაბალია, რაც თავის მხრივ გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობაზე მიუთითებს.

საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მათალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომომარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, 2.3% შეადგინა.

## თვის ინფლაცია 0.7% (მნიშვნელოვანი წვლილია)



## წლიური ინფლაცია 1.9% (მნიშვნელოვანი წვლილია)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

დეკემბერში გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები სეზონური ხასიათის იყო. ყველის, მწვანილის და კიტრის გაძვირებამ თვის ინფლაცია ჯამში 0.2 პპ-ით გაზარდა.


წლიურ ჭრილში ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად სურსათის 3.3 %-იანი გაძვირება მოქმედებდა, რაც ინფლაციას 1.0 პპ-ით ზრდიდა, აქედან გამოსარჩევი მწვანილის, ზეთის და შოკოლადის გაძვირება იყო (ჯამური გავლენა ინფლაციაზე 0.6 პპ). საპირისპიროდ, ინფლაციის შემცირებაზე სანჯავის (-0.4 პპ), ინტერნეტის (-0.4 პპ) და ელექტროენერჯის (-0.3 პპ) გაიფხვრა მოქმედებდა.

## მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი


## ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ადგილობრივმა ინფლაციამ დეკემბერში 2.2% შეადგინა. მომსახურების ინფლაცია, რომელიც ადგილობრივი ინფლაციის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, 2.3%-ის დონეზე იყო. იმპორტირებული პროდუქტები, პირველ რიგში სანჯავის ფასების გავლენით (-0.4 პპ), წლიურად 0.9%-ით გაიფხვრა. შერეული პროდუქტების ინფლაცია 3.9%-მდე გაიზარდა და ამის მთავარი მიზეზი შერეულად წარმოებული სურსათის (მწვანილი, ზეთი, შოკოლადი) გაძვირებაა.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილი მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2024 წლის წონები	დეკ24/ნოვ24		დეკ24/დეკ23	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.7%	0.7%	1.9%	1.9%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.4%	1.3%	0.5%	3.6%	1.2%
სურსათი	30.4%	1.5%	0.4%	3.3%	1.0%
პური და პურპროდუქტები	6.1%	0.0%	0.0%	0.3%	0.0%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	0.6%	0.0%	1.3%	0.1%
თევზი	0.4%	0.5%	0.0%	4.8%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.7%	2.4%	0.2%	-0.6%	0.0%
ზეთი და ცხიმი	2.5%	3.0%	0.1%	10.1%	0.3%
ხილი, ყურძენი	1.6%	-1.0%	0.0%	-0.7%	0.0%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.2%	5.3%	0.2%	15.7%	0.5%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	-0.1%	0.0%	6.9%	0.2%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	0.2%	0.0%	1.9%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	0.0%	0.0%	6.7%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.8%	0.4%	0.0%	5.9%	0.4%
დანსაცემელი და ფესხაცემელი	4.0%	-1.8%	-0.1%	-1.2%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	8.7%	0.3%	0.0%	-3.2%	-0.3%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.5%	0.7%	0.0%	1.1%	0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	1.4%	0.1%	3.7%	0.3%
ტრანსპორტი	12.0%	0.5%	0.1%	-1.4%	-0.2%
კავშირგაბმულობა	3.7%	0.3%	0.0%	-12.7%	-0.5%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.3%	-0.4%	0.0%	-0.1%	0.0%
განათლება	4.6%	0.1%	0.0%	5.1%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	0.3%	0.0%	7.7%	0.3%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.2%	-0.3%	0.0%	6.4%	0.3%
მოკლევადიანი მოხმარების საქონელი	63.1%	1.0%	0.6%	2.2%	1.4%
საშუალოვადიანი მოხმარების საქონელი	7.2%	-0.7%	0.0%	-1.5%	-0.1%
ხანგრძლივადიანი მოხმარების საქონელი	4.9%	0.5%	0.0%	0.0%	0.0%
მომსახურება	24.8%	0.3%	0.1%	2.3%	0.6%

წყარო: საქსტატი

# საბანკო სექტორი


ნოემბერში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 6.9 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 0.1 მლრდ ლარით) და 57.2 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 13.6%-ით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით ეროვნული ვალუდის სადეპოზიტო ვალდებულებები 0.4 მლრდ ლარით (1.6%-ით) შემცირდა და 27.5 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული კლება, მეცნილად მიმდინარე ანგარიშების და იურიდიული პირების დეპოზიტების შემცირებამ განაპირობა. რაც შეეხება უცხოური ვალუდის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით 0.5 მლრდ ლარით გაიზარდა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 179.7 მლნ ლარით შემცირდა.

## სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


## სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ნოემბერში დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით არ შეცვლილა და 5.8% შეადგინა. ეროვნული ვალუდით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი ფაქტობრივად არ შეცვლილა და 7.6% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუდით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 2.1%-მდე გაიზარდა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და 11.0% შეადგინა. აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთები, 0.4 პპ-ით, 2.9%-მდე, გაიზარდა. ასევე ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 0.2 პპ-ით, 1.7%-მდე, გაიზარდა.

## დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაკაალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


## რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუდების მიხედვით (ნაკაალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**დეპოზიტების დოლარიზაციამ ნოემბერში 51.7% შეადგინა.** ნოემბრის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.7 პპ-ით, 66.6%-მდე, ხოლო იურიდიული პირების 0.2 პპ-ით, 42.5%-მდე გაიზარდა. ამავდროულად, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით 0.7 პპ-ით, 64.0%-მდე გაიზარდა.

**დემოზიფიკაციის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდანი დემოზიფიკაციის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ნოემბერში გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 17.8%-ით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით, სესხების ზრდის ტემპი 0.8 პპ-ით შემცირდა, რაც მეტწილად უცხოური ვალუდის დაკრედიტების ზრდის ტემპის შენელებამ განაპირობა. ეროვნული ვალუდით დაკრედიტება მზარდია. კერძოდ, ნოემბერში ეროვნული ვალუდით დაკრედიტება წლიურად 24.4%-ით გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 13.2 პპ წვლილი შეიტანა. ეროვნული ვალუდით დაკრედიტების ზრდა, ერთი მხრივ, ლარის ბიზნესის სესხებს უკავშირდება. სტაბილური იპოთეკური სესხების ზრდის ტემპიც, რომლის წვლილმა მთლიანი სესხების ზრდაში 2.7 პპ შეადგინა.

**სესხების წლიური ზრდის ტემპი (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში, სესხების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით გაიზარდა და 13.3% შეადგინა. ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.5 პპ-ით, 15.3%-მდე, გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 8.9%-მდე, შემცირდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნააკალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნააკალი)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



ნოემბერში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით გაიზარდა და 12.2%-ს შეადგინა. ხოლო იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით გაიზარდა და 12.0% შეადგინა. ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 9.3%-მდე, შემცირდა. ასევე, უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 7.9%-მდე, შემცირდა.


**ნოემბერში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.8 პპ-ით, 42.8%-მდე, შემცირდა.** იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.7 პპ-ით, 62.3%-მდე შემცირდა. ასევე ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია, 0.5 პპ-ით, 25.5%-მდე, მოიკლო. ნოემბერში ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 107.0 მლნ ლარით შემცირდა და 683.1 მლნ ლარს გაუტოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 39.6% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

**დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ვადაგადაცილებული ღირებულება**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საგარეო სექტორი**


2024 წლის ნოემბერში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 9.6%-ით გაიზარდა და 893.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის მატება იმპორტის ზრდას უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 10.7%-ით 1,435.7 მლნ აშშ დოლარამდე მოიმატა, ხოლო ექსპორტმა წლიურად 12.6%-ით გაიზარდა და 542.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

**საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა**



წყარო: საქსტატი


**სავაჭრო ბალანსი ძველების მიხედვით (ნოემბერი 2024)**




წყარო: საქსტატი

**იმპორტი - ნოემბერში საქონლის იმპორტი წლიურად 10.7%-ით გაიზარდა.** საქონლის იმპორტის მატება უმეტესად სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის მაღალმა ზრდამ განაპირობა. მოიმატა ასევე შუალედური სახის საქონლის იმპორტმა, ხოლო საინვესტიციო სახის საქონლის იმპორტი ზომიერად შემცირდა. სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის მატებაში ყველაზე მეტი წვლილი შერეული საქონლისა და რეექსპორტისთვის განკუთვნილი მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების ზრდამ განაპირობა, ამასთანავე მანქანების მოცულობა მთლიან იმპორტში კვლავ მნიშვნელოვან წილს იკავებს. ამის საპირისპიროდ, მნიშვნელოვნად დაიკლო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ჯგუფების შესყიდვამ. ამასთანავე, სამომხმარებლო ჯგუფის იმპორტიდან აღსანიშნავია ცანსაცმლის სხვადასხვა სახეობის, სიგარები-სიგარიტებისა და ნახევრადმისამბელი ნაწილების შესყიდვების კლება. შუალედური სახის საქონლის იმპორტის მატება უმეტესად ნავთობის აირების, ნახშირბადიანი ფოლადის წნელების, ელექტროენერჯისა და მანგანუმის მადნებისა და კონცენტრატების შესყიდვების ზრდამ განაპირობა. მეორე მხრივ, ნავთობის კოქსისა და ბიძუმის, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატებისა და იმპორტი შრატების იმპორტმა დაიკლო. გარდა ამისა, საინვესტიციო საქონლის იმპორტის კლება სხვა საფრენი აპარატების, გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ტრაქტორებისა და მედიცინაში გამოსაყენებელი ხელსაწყოების შესყიდვების შემცირებამ განაპირობა. მეორე მხრივ, ამავე ჯგუფში 10 მგზავრზე მეტი გადაამყვანი ავტომობილების, საცვიროთო ავტომობილებისა და ჭურჭლის სარეცხი მანქანების იმპორტი წლიურად გაიზარდა. მთლიანობაში, ნოემბერში წლიურად საქონლის იმპორტმა რეალურად 2.6%-ით მოიმატა.

**საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)**



**საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)**



ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის მატებაში ყველაზე მაღალი წვლილი შეიძლება თურქეთმა, რაც უმეტესად შერეული საქონლისა და შავი ლითონების ღრუ პროფილების შესყიდვებს უკავშირდება, თუმცა ამ ქვეყნიდან სხვა საფრენი აპარატებისა და ნახშირბადიანი ფოლადის წნელების იმპორტი შემცირდა. გარდა ამისა, რუსეთიდან იმპორტის მატება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ნავთობაირებისა და ნახშირბადიანი ფოლადის წნელების, ხოლო ჩინეთიდან საცვითო ავტომობილების, რეზინის პნევმატური საღებავებისა და კვების სუბპროდუქტების გაზრდილმა შესყიდვებმა განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია აშშ-დან მსუბუქი ავტომობილების, პოლონეთიდან 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილების, ესპანეთიდან გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ინდოეთიდან ფილებისა და ელექტროლიტ ძრავების, ეგვიპტიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების და ირანიდან ნახშირბადიანი ფოლადის წნელებისა და პოლიმერების შესყიდვების ზრდა. ამის საპირისპიროდ, დანარჩენი ქვეყნებიდან წლიურად იმპორტის კლების კუთხით გამოირჩეოდნენ ბულგარეთი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, იაპონია მსუბუქი ავტომობილების, თურქმენეთი, აზერბაიჯანი და საბერძნეთი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ხოლო ჩეხეთი საცელეფონო აპარატების შესყიდვების კლების გამო. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 65% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


ნოემბერში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქ ავტომობილებს, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს, ასევე შერეულ საქონელს (29%-იანი წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა. მსუბუქი ავტომობილების იმპორტი დაახლოებით 6%-ით გაიზარდა, თუმცა მთლიან იმპორტში 31%-იანი წილით კვლავ წამყვანი ადგილი უჭირავს. აღსანიშნავია ასევე, რომ ნოემბერში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ნოემბერთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

**საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (ნოემბერი 2024, მლნ აშშ დოლარი)**

ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 95	შერეული საქონელი, 57
ნავთობის აირები, 54	საძველფონო აპარატები, 35
	ფოლადის წნელები, 30
მსუბუქი ავტომობილები, 259	სამკურნალო საშუალებები, 50
	საფრთხილო ავტომობილები, 20
	შოკოლადი და კაკაოს პროდუქტები, 15
	საკვები სუბპროდუქტები, 12

წყარო: საქსტატი

**ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (ნოემბერი 2024)**




ექსპორტი - ნოემბერში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 12.6%-ით გაიზარდა და 542.5 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. საქონლის ექსპორტის ზრდა მეტწილად სამომხმარებლო სახის საქონლის ექსპორტის მატებამ განაპირობა. ამასთანავე, შუალედური სახის და საინვესტიციო სახის საქონლის ექსპორტმა ზომიერად მოიმატა. სამომხმარებლო სახის საქონლის ჯგუფიდან ყველაზე მეტი დადებითი წვლილი მსუბუქი ავტომობილების (9.7 პპ სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ზრდაში) და სპირტიანი სასმელების გაყიდვებმა შეიძინა. მოიმატა ასევე როგორც სამკურნალო საშუალებების, ასევე მინერალური, მცენარი და გაზიანი სასმელების ექსპორტმა. ამასთანავე, ადგილობრივი საქონლის ჯგუფებიდან აღსანიშნავია თხილი-კაკლის, ყურძნის ნაცურალური ღვინოების და სხვადასხვა ხილის ჯგუფების ექსპორტის მატება.




შუალედური სახის საქონლის ექსპორტის მატებაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი ადგილობრივი წარმოების ნედლეულმა - ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების - გაყიდვების მატებამ შეიტანა. ამასთანავე, შავი ლითონების ღრუ პროფილებისა და სამსხმელო ნივთიერებების გაყიდვებმა მოიმადა. გარდა ამისა, ნოემბერში, ბოლო თვეების მსგავსად, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტი კვლავ დაბალი იყო და ასევე წლიურად მისი მოცულობა დაკლებულია. შემცირდა ასევე მინერალური და ქიმიური სასუქების გაყიდვები. საინვესტიციო საქონლიდან სხვადასხვა ხელსაწყოების, მექანიკური მოწყობილობებისა და საცვითო ავტომობილების ექსპორტმა მოიმადა, ხოლო ტრაქტორებისა და ბულდოზერები-ავტოგრეიდერების რექსპორტმა კი ზომიერად დაიკლო. ნოემბერში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 3.3%-ით შემცირდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების მატებაში ყველაზე მაღალი წვლილი შეიტანა ყირგიზეთსა და ყაზახეთში ექსპორტის მატებამ, რაც უმეტესად მსუბუქი ავტომობილების მკვეთრად გაზრდილმა გაყიდვებმა განაპირობა. გარდა ამისა, რუსეთში ყურძნის ნაფურალური ღვინოებისა და სპირტიანი სასმელების, უზბეკეთში სამკურნალო საშუალებებისა და მსუბუქი ავტომობილების, თურქმენეთში შინაური ფრინველის კვების სუპროდუქტების ექსპორტი გაიზარდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ჩინეთში სპილენძისა და ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების, რუსეთში სპირტიანი სასმელებისა და სხვადასხვა ხილის, ირანში აპარატურისა და ხელსაწყოების, შვეიცარიაში დაუმუშავებელი ოქროს, აშშ-ში ლითონის ღრუ პროფილების, იტალიაში ახალი და გამხმარი თხილის, ხოლო ეგვიპტეში ფეროშენადნობების გაყიდვების მატება. ამის საპირისპიროდ, რეგიონის სხვა ქვეყნებში ექსპორტი შემცირდა. კერძოდ, აზერბაიჯანში მსუბუქი ავტომობილებისა და სამრეწველო დანიშნულების სიგარეტების, ბულგარეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, თურქეთში ფეროშენადნობების, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში მსუბუქი ავტომობილების, ხოლო მოროკოში ქიმიური და მინერალური სასუქების ექსპორტის ზომიერი კლება. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 74% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

**ნოემბერში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (40%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. წილობრივად ასევე მაღალი იყო სპირტიანი სასმელებისა ყურძნის ნაფურალური ღვინოების ექსპორტი.** საქონლის ექსპორტის მატებაში ყველაზე მაღალი წვლილები მსუბუქი ავტომობილებისა და ძვირფასი ლითონების მადნების ჯგუფებმა შეიტანეს (7.0 პპ და 2.4 პპ მთლიან ცვლილებაში შესაბამისად). ნოემბერში, წინა თვისგან განსხვავებით, ფეროშენადნობების გაყიდვებმა დაიკლო. წლის დასაწყისიდან მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შემცირება დაიწყო, თუმცა წლის მეორე ნახევარში გაყიდვებმა იმადა. კერძოდ, ნოემბერში წლიურად მნიშვნელოვნად (18.2%-ით) მოიმადა და 219 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, ექსპორტის მოცულობაზე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, სასუქებისა და ტრაქტორების ჯგუფებზე საგარეო მოთხოვნის არსებითი კლება უარყოფითად აისახა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

სპირტიანი სასმელები, 28	ყურძნის დვინოები, 25
სპილენძის მადნები, 17	თხილი და სხვა კაკალი, 16
სამკურნალო საშუალებები, 15	დაუმუშავებული მარცხენი, 10
ძვირფასი ლითონების მადნები, 14	დაგაზიანებული ნაწილები, 10
მსუბუქი ავტომობილები, 219	

წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


**ფულადი გზავნილები** - ნოემბერში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 9.6%-ით დაიკლო და 266.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა 5.7%-ით, 33.3 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა.

**წლიურად ფულადი გზავნილების მცირედი კლება საბაზო ეფექტის ამოწურვას უკავშირდება.** ნოემბერში, რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები წლიურად 61%-ით, 30 მლნ აშშ დოლარამდე, შემცირდა. თუმცა, მაღალი ცემპებით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან და ისრაელიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები (21.6%-ით და 15.3%-ით). ასევე, დანარჩენი ქვეყნებიდან, როგორცაა ყირგიზეთი და გაერთიანებული სამეფო, გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ ზრდადია (185.9%-იანი და 16.7% -იანი მაცემა, შესაბამისად).

**კვლავ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ევროკავშირის ქვეყნებიდან, იტალიიდან და გერმანიიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების ზრდას.** ნოემბერში, რეგიონის ერთ-ერთი დიდი ქვეყნიდან, კერძოდ ყაზახეთიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო (11.3%-იანი კლება). უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ მინიმალურ დონეზე რჩება.


**ნოემბერში, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (44.6%), აშშ (18.8%) და რუსეთი (11.2%) წარმოადგენდა.** ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში  
(ნოემბერი 2024)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა  
(წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

# სავალუტო ბაზარი


ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7263-დან 2.7353-მდე (0.3%-ით) გაუფასურდა, ხოლო ევროს მიმართ - 2.9765-დან 2.9109-მდე (2.2%-ით) გამყარდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.7794 და 2.9348 შეადგინა. ნოემბერში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7794 იყო, მინიმალური კი - 2.7247.

## ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა მინიმუმზე მეტად იყო გადახრილი.


ნოემბერში, საშუალოდ, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია რუსული რუბლის, ევროს, თურქული ლირის, ლარის და სომხური დრამის გაუფასურება; ხოლო აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

## თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (ნოემბერი 2024; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 4.6%-ით გაუფასურდა, თვის წრილში კი 1.3%-ით გამყარდა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს, წლიურად გამყარება 4.4%, თვის წრილში კი 1.3%-ია.

**ეფექტური კურსის გამყარება იმპორტულ ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით მოქმედებს.**

სავაჭრო პარტნიორებთან (თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, ბელარუსი, აზერბაიჯანი, აშშ, ევროზონა და სომხეთი) შედარებით ნოემბერში წლიური ინფლაცია საქართველოში ყველაზე დაბალი იყო.


ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასები ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

**ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვარი 2020=100)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (ნოემბერი 2024)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სავალუტო ბაზრის ტენდენციები**


ნოემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 ბანკი და 5<sup>1</sup> არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მარკეტინგების მიხედვით, თვიურად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი მცირედით გაზარდილია, თუმცა კვლავ დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებს მიხედვით**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა თვიურად შემცირებულია, ხოლო წლიურად გაზარდილი. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 230.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 505.0 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, წინა წლის ნოემბერთან შედარებით კი - 14.9 მლნ აშშ დოლარით მეტია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 45.1%-ით, წლიურად კი 40.7%-ით შემცირდა.

ნოემბერში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუტით ლარის შექმნა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ<sup>2</sup> გარიგებებით ხდებოდა (97.1%) და მთლიანმა ვაჭრობამ 3,234.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 808.2 მლნ აშშ დოლარითაა გაზარდილი, ხოლო თვის წრილში 764.5 მლნ აშშ დოლარით შემცირებული. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეოებზე, მცირე კი არაარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 14.7% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წილი შეესაბამებოდა 124.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.  
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

**საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საოტ გარიგებებით უცხოური ვალუდით ვაჭრობა**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ნოემბერში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება წლიურად გაზრდილია, ხოლო თვის წრილში შემცირებული.**

საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნოემბერში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 308.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ წრილში 307.8 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,668.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 499.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 456.7 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,565.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შექმნაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.


ნოემბერში სავალუტო ფორვარდ<sup>4</sup> გარიგებებით (უცხოური ვალუდით ლარის შექმნა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუდით ვაჭრობა წლიურად 71.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ წრილში - 20.5 მლნ აშშ დოლარი) და 95.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი - არარეზიდენტ ბანკებსა და იურიდიულ პირებზე, ხოლო მცირე ნაწილი შინამეურნეობებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 76.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

**ბანკთაშორისი საოტ გარიგებებით შიდა წილი და გაყიდული უცხოური ვალუტა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუდით ვაჭრობა**





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 39.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 4.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები და სავალუტო ინტერვენციებით უცხოური ვალუტის წმინდა შექმნა, ხოლო შემცირების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების შევიწროებისთვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.



**ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

# ფულადი ბაზარი

ნოემბერში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავ პერიოდში 20 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და 60 მლნ ლარი შეადგინა.


ნოემბერში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 295.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. ნოემბერში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 50, 100 და 105 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 226.3 მლნ ლარით გაიზარდა და 9,448.0 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 68.4%-ს კომერციული ბანკების, 17.1%-ს ეროვნული ბანკის, 12.2%-ს რეზიდენტების, ხოლო 2.4%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

**სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ნოემბერში სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა. სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები მეცნილად ასევე შემცირდა. კერძოდ, ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.08 პპ-ით, 7.48%-მდე, შემცირდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, ექვსთვიანი სახაზინო ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი 0.02 პპ-ით 7.81%-მდე, გაიზარდა. ხოლო ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი 0.07 პპ-ით შემცირდა და 7.62% შეადგინა; სახაზინო ორწლიანი და ხუთწლიანი სახაზინო ობლიგაციების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები 0.03 და 0.04 პპ-ით შემცირდა და, შესაბამისად, 8.32% და 8.32% შეადგინა. ათწლიანი სახაზინო ობლიგაციების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი კი 0.02 პპ-ით გაიზარდა და 8.4% შეადგინა.

**ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ლარის შამოსავლიანობის გრადი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა თვიურად 3,471.9 მლნ ლარით (წლიურად 7,294.9 მლნ ლარით) 18,409.4 მლნ ლარამდე შემცირდა, რაც მეტწილად ეროვნული ვალუდის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუდის ბრუნვაზე მოდის (85.5%), რომლის მოცულობაც თვიურად 1,476.4 მლნ ლარით (8.6%-ით) შემცირდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვიურად 1,995.5 მლნ ლარით (42.8%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.14 პპ-ით გაიზარდა და 8.09% შეადგინა. უცხოური ვალუდის რესურსზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით 0.15 პპ-ით შემცირდა და 2.43% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ნოემბერში ფულადი ბაზრის რესურსის 37.8% ერთ თვემდე ვალიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 61.2% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

**ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მონეტარული აბრეგატები**

ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 106.8 მლნ ლარით (-1.4%) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის 7.5 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 226.3 მლნ ლარით (2.9%-ით) შემცირდა.


ნოემბერში, საბანკო სისტემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 95.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო აუქციონებით ეროვნულ ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა ნოემბრის განმავლობაში 124.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 28.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. ნოემბერში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 111.2 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 951.8 მლნ ლარს გაუცოლდა.

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფულადი აგრეგატი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 179.2 მლნ ლარით შემცირდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 100.0 მლნ ლარით გაიზარდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი 275.0 მლნ ლარით შემცირდა. ნოემბერში, განთავსდა 20.0 მლნ ლარის სადეპოზიტო სერთიფიკატი და დაიფარა 20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატი. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა არ ყოფილა. მთლიანობაში, ნოემბერში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 165.1 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 6,620.7 მლნ ლარს გაუცოლდა.


ნოემბერში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 235.5 მლნ ლარით გაიზარდა, მეცნილად უცხოური ვალუტის დეპოზიტების ზრდის გავლენით. რაც შეეხება M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 314.1 მლრდ ლარით შემცირდა.

**საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მონეტარული ოპერაციები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1  
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06  
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

